კვირა, 30 ივლისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

# ეშმაკის მათრახი

№ 31

1917

## ხმა მიეცით რუსეთის ს.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1.

### საარჩევნო მიწოლ-მოწოლა.



მშრომელი მასსა მძლეთ აწვება პლუტოკრატიას...
მაშ გაუმარჯოს ჩვენს სოციალ-დემოკრატიას!
ამხანაგებო! ხმა მიეცით პირველსა სიას,
მხოლოდ ის მოსთხოვს „მამინაცვლებს“ ხალხის ნისიას.

# „თანამგრძნობი“

ალექსანდრ ივანიჩი, ჩვენი სათაყვანებელი ალექსანდრ ივანიჩ ხატისოვი, აი ის ხატისოვი, რომელიც გუშინ თუ გუშინწინ მთელ ქვეყანას ძმობა-ერთობისაკენ მოუწოდებდა, რასაკვირველია მხოლოდ სიტყვით და სიტყვით, დღეს საშიშარი მარცხის მსხვერპლი შეიქნა.

ის უცებ გაქრა საზოგადო „ინტერნაციონალურ“ ასპარეზიდან. ცამ შეისუნთქა, მიწა ჩაყლაპა, ქარმა გაიტაცა, თუ წყალმა ჩასძირა ვერავ ნ გაიგო და თფილისის მოქალაქენი საგონებელში ჩავარდენ.

არც ჩვენი რედაქცია შეხვედრია გულგრილათ ამ საწუხარო ცნობას და განა შეეძლო შეხვედროდა, როცა ალექსანდრ ივანიჩი დაუშრეტელი წყარო ჩვენი სახუმარო წერილებისა!

მყისვე მივიღეთ ზომები. მოვიკითხეთ სოციალ დემოკრატიულ პარტიაში, რომელსაც იგი ისე გატაცებით ეტრფოდა და ეარშიყებოდა.

გვიპასუხეს:

— რაც ეს რევოლიუცია დაიწყო შემდეგ ჩვენ ის არ გვინახავს, ალბათ სხვაგან სადმე იქნება მეზობლებშიო.

მივმართეთ სოციალისტ-რევოლიუციონერთ.

— ძვირფასო ამხანაგებო! სად ყოფილხართ, რა გინახავთ, ხატისოვი არ გინახავთ?

— ხატისოვი გუშინ დილით ვნახეთ წელში ბებუთითა, ზინვორები კავალრობდენ ვორონცოვის საბუთითა. ჩვენ ალექსანდრ შეგვეხიზნა არღუთინსკი წვერებითა, მელიის კუდს რო ატარებს ლაქუცით და ფერებითა.

(ალექსანდრე არღუთინსკი, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინათ მთავრობის მიერ დამტკიცებული საარჩევნო სია შეასწორა და თფილისელი დემოკრატიის სინსილა გააწყო, ისე მედიდურათ იჯდა ესერების ბიუროში, თითქო ორიზონის რედაქციაში ყოფილიყოს. ქალაქ თფილისელ დემოკრატიის მოსისხლე მტერი, მისი უფლების ფეხ-ქვეშ მთელავი და უზურპატორი, სოც. რევოლიუციონერებს მესამე ნომრის სიაში ჩაუსკუპებიათ).

გავსწიე კადეტთა ბიუროსაკენ. ვინ იცის, იქნებ მათ გაიტაცეს ჩემი მეგობარი, მამა ქალაქისა, „ინტერნაციონალისტი“ ალექსანდრ ივანიჩი? ვინ იცის! დღეს, რევოლიუციის ხანაში ყველაფერი მოსალოდნელია.)

— მოვიდა და წავიდა... იყო პასუხი. ჩვენთან გაჩერება ირ ისურვა. რაღაც სომხურ ჰანგს ამღერებდა. თავზე ჩალმა ეხვია და ფეხზე ქალამნები ეცვა!

ძებნა განვაგრძეთ. სოციალ-ფედერელისტთა და ქართველ ნაციონალ დემოკრატთა უბანში ჩვენ არ შევსულვართ, ვინაიდან გადაჭრით ვიცოდით, რომ ისინი არც მოიტაცებდენ ასეთ პატივცემულ საზოგადო მოღვაწეს და თითონაც არ მევიდოდა. მათთან.

მწუხარება თან და თან მატულობდა! ვინ, რომელმა ვერანამ და ბოროტმა ხელმა მოგვტაცა ჩვენ „ინტერნაციონალის“ ისეთი მოტრფიალე და „კავკასიის ერთა შემაკავშირებელი“ მოღვაწე, როგორიც იყო ნეტარ ხსენებული ალექსანდრ ივანიჩი:

საყვარელო, სადა ხარ
და რომელსა მხარესა
ვის უზიხარ გვერდს;
ვის უმზერებ თვალებსა?

ნაღვლიანათ დაიწყო ბზუილი ამხანაგმა კოლომ და სოციალ-დაშნაკთა ბიუროში შეინავარდა. როდესაც კოლო უკან დაბრუნდა, მას სიკვდილის ფერი ედო.

— ამხანაგებო! დაიწყო მან. ჩვენი საყვარელი მოღვაწე, ქალაქის მამა, კავკასიის ერთა შემაკავშირებელი ალექსანდრ ივანიჩი ზინვორებს მოუტაცნიათ. ჩემის თვალითა ვნახე, კიდევაც ვისაუზმე მის პიტალო შუბლზე, დავისვენე და ოფლი შევიშრე.

თავზარი დაგვეცა!

ერთხმათ მივიღეთ რეზოლიუცია იერიშის მიტანისა და ტყვე მოღვაწის განთავისუფლების შესახებ. სომეხ თათართა შეტაკების დროს ბრძოლაში გაწრთვნილი ზინვორები მამაცურათ დაუხვდენ ჩვენს იერიშს, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ალექსანდრ ივანიჩი ჩვენ ხელთ იყო. გამარჯვების ყიჟინა გვინდოდა დაგვეცა, როცა ის შედგა გატენილ ყუმბარაზე და ჩვეულებრივის მჭევრ-მეტყველობით წარმოსთქვა.

— მოქალაქენო! თქვენ ტყვილათ ფიქრობთ, თითქო მე მოტაცებული ვიყო ამ სოციალისტთაგან.

არა მოქალაქენო! დაშნაკ-სოციალ-ცუტუნის პარტია, ეს ერთად ერთი ინტერნაციონალური პარტიაა. მე აქ მოვედი არა როგორც ტყვე, არამედ როგორც თანამგრძნობი.

— თანამგრძნობი!

— თანამგრძნობი!

— თანამგრძნობი!

გაისმა ყოველ მხრივ და ჩვენს მებრძოლთ მკლავები მოუდუნდათ.

ჩვენ დავსტოვეთ ალექსანდრ ივანიჩის გვამი იმ ალაგას, სადაც ის თითონ დაიმარხა „თანამგრძნობის“ ნაგავში და დამწუხარებული დავბრუნდით.

ზინვორებმა აიყვანეს მათი ახალი (?) ოქრო პირი, მხარზე შეისვეს და გაიყვანეს ქუჩაში ხალხთა საჩვენებლათ.

— თანამგრძნობი!

— თანამგრძნობი!

— თანამგრძნობი!

გაჰკიოდნენ ისინი კიდით კიდამდე.

ასე გარდაიცვალა და დაიკრძალა ის მოღვაწე, რომელსაც მუდამ ხალხთა ერთობა ეკერა პირზე.

**მორიელი***)

---

*) ჟურნალ **„სოფლის მუშა“**-ს მეორე ნომერში მოთავსებულია მშვენიერი წერილი **„ორი ყრილობა“**; რომელსაც ქვეშ აწერია **„მორიელი“**. ძნელი გასაგებია, თუ ავტორი ამ წერილისა რისთვის უშვებს რეკლამაციას ჩემს ფსევდონიმს. მართალია 1906 წ. აქეთ, რაც „მორიელის“ ფსევდონიმით ვწერ „ეშმაკის მათრახში“ სულ რაღაც 11 წელია, მაგრამ შეიძლებოდა პატივცემულ ავტორს ყური მაინც მოეკრა, თუ თვალი არა, ჩემი წერილისათვის. ან იქნებ ჰგონია პატივცემულ ავტორს, რომ ასეთი არევ- დარევა არავითარ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს? შეიძლება ის არა კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ სოფლის მუშები ხშირათ ადევნებენ თვალყურს „ეშმაკის მათრახს“ და იფიქრებენ: რა ყოფილა ეს მორიელი, „სოფლის მუშაში“ ასეთ მშვენიერ წერილებს სწერს, ხოლო „ეშმაკის მათრახში“ კი უხეიროსაო. არ მინდა სხვისი ნიჭით ვისარგებლო.

**მორიელი.**

---

# პატარა ფელეტონი

## მ წ უ ხ ა რ ი

**(პროზათ)**

ჩვეულებათ მაქვს: როს მეწვევა რაიმე ბოღმა, ოდეს გულს ჩემსას დაეტყობა ძაძგუნი, ტოკვა; როცა სული სწუხს, იტანჯება, ღელავს, მშფოთვარებს, ხოლო სახე-კი გამოხატავს გლოვა-სიმწარეს;—აი, ასეთ ჟამს მივუჯდები ხოლმე მაგიდას, ქაღალდს მოვძებნი, მოვიმარჯვებ ხელში კალმისტარს და ვიწყებ წერას, წერას სევდის გასაქარვებლათ, ჩემს ორგანიზმში სიმშვიდისა დასამყარებლათ!..

მაგრამ ხან-და-ხან მეფიცება წყეული მუზა, (სკამზე ხახუნით მთლათ დავცვითე შარვალი, ბლუზა!); კალმის-ტარს ვარხევ, ვაცინცილებ თეთრ ქაღალდზედა,—რითმები მაინც არ გამოდის რაღაც ჟინზედა!..

და, ვკვნესი ამ დროს, ვკვნესი ძალზე გააფთრებული, უფრო და უფრო იმრიზება, ძაძგუნებს გული; არა მსურს პროზათ რომ გამოვსთქვა ჩემი აზრები, (დაბადებიდან შემიყვარდა მეტათ ლექსები).

ეხლაც ვმწუხარებ... ბევრი რამ მაქვს სათქმელსაწერი, მინდა მკითხველებს გადუშალო წინ ყველაფერი; რაც საქმესა ვნებს, აზიანებს, წინ-სვლას აბრკოლებს, მაგრამ... რა ვუყო ოხერ მუზას, რომ არ მიჯერებს!..

ა, მაგალითად, თუნდ ავიღოთ — „ბალშევიკები“, რა უნდათ იმ ხალხს, საით მიდის იმათი გზები?!. რათ გაეთიშენ ასეთ დროში თვისსა პარტიას, რათ ეწევიან წინაალმდეგ აგიტაციას?!. შემდეგ, ესფერებს მაინც რაღა კუდა ეწვევათ? (ალბათ, ესდეკთა ეგ დაქსაქსვა თუ ეხარებათ!)? მაგრამ, ტყვილია მათი ლხენა, ღრიანც-ქოთქოთი, (ლექსათ რომ ვსწერდე, მაშინ უფრო რიგზე ვიტყოდი!)... კიდევ, სომხებსა—დაშნაკელებს რა დამართვიათ? შრომელთა შორის შუღლის-თესვა „საქმედ“ უცვნიათ! მუდამ დღე მხოლოდ „პატრიოტიზმზე“ სწერენ, ბჭობენ, ნამდვილათ კია თავიანთ ხალხს თვით ღალატობენ!.. ისინიც ტყვილა იქანცავენ თავსა და ბეჭებს,—ხალხი მათ იცნობს, არ მისცემენ თეთეთრისა კენჭებს!..

ეხლა ესერებს და კადეტებს აღარ იკითხავთ?— მათშიც კინჭების მებრძოლებსა ბევრსა იხილავთ!.. ერთათ მიდიან, როგორც მითხრეს, სხვა პარტიები, (უკვე მზათა აქვთ, თურმე, მათაც თავის სიები); სურთ, რომ ერთბაშად დაამარცხონ ის ესდეკები, რომლებიც ხალხისთვის არიან თავდანადები!..

თუმცა არ მჯერა, მაგრამ მაინც შემიპყრობს მწუხრი, ოდეს ასეთ მწვავე კითხვებს თავსა დავუხრი; არ მჯერა მეთქი, ვამბობ ცხადათ, მათ გამარჯვება, დიდი ქოთქოთი და მუქარა ხმალ-ლა დარჩება; მაგრამ გული მაინც კვნესის, მაინც მწუხარებს, ზოგჯერ ცრემლებიც უნებლიეთ გადმომქუხარებს; და იმ დროს სწორეთ, როს ჭმუნვასა ღრმათა ვეძლევი,—მაშინვე ვტოვებ ჩემს მაგიდას, გამოვექცევი!..

და, ვსპობ წერასა...

ალბურიონი.

# შარადა

(დაწერილია 1915 წ. ივლისს*)

პლანეტთა შორის სახელი
ცხადია ორ მარცვლოვანი;
მარცვალთა შორის ჩასდევით
ასო არა თუ ხმოვანი,
უბრალო, უცხო, კავშირათ,
მარცვალთა შესაერთები.
შემდეგ მონახეთ საყუდელს,
სად იდიდების ღმერთები,
სადაც სულიერ ლაღადსა
ისმენს მლოცველთა ყურები.
ოთხ მარცვლოვანის უთუოდ
ბოლო მარცვალი გვჭირია,
ორსა კი უკანასკნელსა
დაბლა ვაქნიოთ პირია...
მიხვდით თუ არა, რას ვეძებ,
დავლობე როგორც კალათი,
მას ებრძვის ყველა ქვეყნების
ხალხის მტერი და ჯალათი,
რადგან ჩაგრულთა ბანაკსა
ისახავს თავის ბაზათა,
აშფოთებს ხალხის სისხლის ღვრა,
„ომი-ომს“ ხმარობს ფრაზათა.
ტაქტიკით იბრძვის, რადგანაც
მტერი ჰყავს დიდი, ძლიერი,
ჯარიც ურიცხვი მტრისაზე,
თუმცა სუსტი და მშიერი.
მარა მომავლის დარაჯი,
მჭედელი თავის ბედისა,
შიმშილის, ტანჯვის, ბორკილის
უღელში გამძლე ქედისა,
იცავს რა თანასწორობას,
ხალხის მშვიდობა ძმობასა,
არ უშინდება საქვეყნოდ
პარაზიტების გმობასა.
რადგან არა სწამს ნაციათ
მებრძოლი ავტონომია,
როგორც ეს „ხალხის“ ორგანოს
და „საქართველოს“ სდომია.
იზრდება ხალხის წინსვლაში,
იჩრდილვის რეაქციაში,
დღეს ამოშლილად რიცხავენ
ზუბრები თავის სიაში,
ხარობენ, რადგან ფიქრობენ:
ქვეყნიდან გაქრა ისაო,
აზრი და ჯარიც იმისი
ამ ომმა მიითვისაო.
ალბად ვერ სცნობენ ვინ მოვა
იქ მოკარნახეთ ზავისა,
რომ სისხლით მონაპოები
არვის დაუთმოს თავისა**).

ბუტუნა.

*) მაშინ ცენზორი ისევე ვერ მიგებდა ამ ლექსს, როგორც ჩვენ ახლა მას ვერ ვეგებებით.

**) ორი წლის წინეთ ოცნება, დღეს სინამდვილეთ ქცეული, ვისაც არ სჯერა, ის იყოს ეშმაკისაგან წყეული.

ბ—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის უნდა მივსცეთ ხმა ქალაქის არჩევნებში?

## აი ვის:

ა) თუ გსურთ ქალაქს მდიდრები განაგებდეს, მარტო მდიდრებზე ზრუნავდეს და ღარიბები ფეხებზე ეკიდოს, აირჩიეთ კადეტები, პლუტოკრატები.

ბ) თუ გსურთ განახლებულ გამგეობაში ისევ ძველი მამინაცვლები დასხდენ, ხმა მიეცით სოციალისტ-რევოლიუციონერთა სიას.

გ) თუ გინდათ ქალაქის მცხოვრებთა შორის გაჩაღდეს უთანხმოება, თათარ-სომეხთა, სომეხ-ქართველთა ჟლეტა; თუ გსურთ ქალაქის მშვიდობიანი ცხოვრება მუდმივ აყალ-მაყალით შეიცვალოს, ხმა მიეცით ნაციონალისტურ პარტიებს: დაშნაკ-ციუტუნებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს.

დ) თუ გსურთ ღარიბი ხალხის ინტერესების დაცვა, ერთა შორის თანხმობისა და სიყვარულის ჩამოგდება, თავისუფლებისა და რევოლიუციის დარაჯთა მხარის დაჭერა ქალაქის საქმეებში სამართლიანობის გამეფება— ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას

**№ 1.**

# ჩემი დაჩაოზა

(გურული სცენა)

მწყერი თურმე ერთხელ შეჯდა ხეზე და ტოტიც მაშინ მუუტყდაო, სწორეთ ასე დამემართა მე წროულს. წროულს წამუედი სადაჩავოთ წალვერში და ჩემდა დეიღუპა თლათ დროი, მე სადაც წავალ ისეა ყოველთვის, ჩემი იღბლის ბრალია ყველაფერი... არა, შენ მამაცხონებულო, ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს შობოდაო, იმის არ იყოს, იქნება მკითხოთ, რა გედაჩავებოდა, სახლში ვერ დიეტიეო...

პაწაი ყური მათხუე და თუ გასამტყუნარი იქნება ჩემი დაჩაში წასვლა, მერე გამიტყუნე .. ანგარიშით არის ტარანე ძამია, მეგრელს თურმე ფაცხა დაეწვა და ზედ ხელების თფობა დეიწყო, ქე ვიქცევი პატონი კოჩი და ხელებს მაინც გევითფობო. ასეა ჩემი საქმეც, სახლში დავრჩენილიყავი თუ გინდა, მერე რაი, იქინე უფრო ეფათ ვიცხოვრებდი თუ? არ გაგაცივა არც შენ და არც ჩემს შვილებს... დახავსებულ როხილა სახლის მეტი სახლში ყველაფერი საყიდელი მაქ: სიმინდს ვყიდულობ, ლობიას ვყიდულობ, ყველს ვყიდულობ, მარილს, ნავთს, ტირანას, გოჭს, ქათამს და ყველაფერს, აგენი რავარც ქალაქში, ისეა სოფელში მამასისხლოთ. დეიქცა შენი კერიე, კაი მეოჯახე კი ყოფილხარ, თუ ყველაფერს ყიდულობო, ქე ვიცი მომაძახებ, მარა პრიჩინის მიზეზს რომ გეიგებ, კი არ გამიმტყუნებ: სიმინდი-ყანები წამიხთა და არ მომივიდა, ლორი ლორის ჭირმა მომიკლა, ძროხა ძროხის ჭირმა, ლობიე მეზობლის ინდოურებმა და თხებმა შემიჭამა, ტარანა აბა მე სიდოური შავი ზღვაი მაქ ეზოში რო არ ვიყიდო... ხო და ასეა, ყოლიფერი საყიდელი მაქ სახლშიც და რაღა სახლში ვხარჯო ფულები, საცხა სადაჩაოთ წავალ და იქინე დავხარჯავ ორ კაპეიკს, ქე მაინც ხაიერს გადავყლაპავ მეთქინ. ავდექი ერთ დილას და წევიყვანე ჩემი ცოლი, ბალღები ღოხტურთან, გავაშინჯვიეთ თავი ყველამ, ყველას სისხლის ნაკლებობა გაქვთო გვითხრა, რეის მეზეზია, არ ვიციო...— მაგის მიზეზს მე მოგახსენებ ბატონო ღოხტურო, რავა, ერთი ხეირიანათ არ გავმძღარვართ აგერ საწელიწადია, რაც სიძვირე დეიწყო და სისხლი საიდან გვექნება მეთქი. ახლა, თუ მკითხავთ, ცოლშვილით წალვერში წადით, იქინა რკინის წყალი არის, სვით და სისხლი მოგივა ყველას, ხაიერიც კარგი არისო... სიძვირე აქანეც ქეა და იქინეც. ქე მაინც გაჯანსაღდებითო... ძაან კარგი ჩემო ბატონო, მასე ვიზამ მეთქი... საჯავოხოის ტანციამდი ფეხით ჩავდენე ცოლშვილი, აბა ფაიტონი სამი არ მეყოფოდა. იქინე ჩავყარე ტრეტი კლასში და ფხეკა გავადინეთ წალვერში მეორე დღეს, გზაში ქე მევიკელით თითომ ხუთ ხუთი გირვანქა, რადგანაც ერთი მეორეს ვაჯექით პოვეზში თავზე. წალვერში, მართლა სიძვირე კია, მარა, სიძვირეზე არ მაქ საქმე, სიძვირე ყოველგან არის, საქმე ჩემო ძამია ვეჩერედია, **ვეჩერედი**. ჩამოვედი აქანაი და, აგერ ორი თვეი სრულდება რაც ჩამოვედით, მევიკეთეთ კი არა, ყვითელ სანთელს დევემგავნეთ ყველა. მევიკეთებთ, წინ ღამით იმის ფიქრში ვართ ყველა, დილას რაფერ რას ვიშონით, ავდგებით დილას ოთხ საათზე, წამევიყვან ცოლს, ბაღნებს და ჩავაყენებ ყველას ვოჩერედში: ერთი პურის ვეჩერედშია, მეორე ხორცის, მესამე ერბოის, მეოთხე მწვანილეულობის, ასე ყველას გვაქ მიჩენილი ვეჩერედი, ქე ვართ დილიდან შუა დღემდი, ხან საღამოსაც დაყუდებული მლოცველ ბერსავით ფეხზე, ყოველ დღე, მე კიდომ ქე გაუძლებ ამ ვოჩერედს მარა ქალი და ბაღნები დემეხოცა, ქალს ათასჯერ მუვიდა გულზე პურის ვეჩერედში, დუუწყეს წყალის ისხმა და მომაყვირეს, არიქა ბიჭო, თემურაზა, შენი ცოლი მაკოიე წეიქცა, გულზე მუუდაო. გევიქეცი, ასხამენ წყალს.—თქვენ ოჯახ დაქცეულებო, წყალი კი არა პური უნდა შიმშილით სული აღარ აქვს მუცელში მეთქინ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, შეეცოდენ და უოჩერედოთ აძლიეს ერთხანს პური.. გულზე არ მოუვიდესო... ახლა აგენს თავი დავანებოთ, რკინის წყალზე უარესი დღეი მადგანა, რავარცხა ვჭამთ აგი ცოცხალ მკვდრები სადილს, წავალთ რკინის წყალზე, იქინე ვარესი ვოჩერედია, ერთი ჭიქა ჩყალი რომ დალიო, ხუთ საათს უნდა იდგე ვეჩერედში, გჯინქავენ, გბიძგავენ, გაწოპიან უკანიდან, წინიდან და რავიცი, ათასჯერ მივატებ ჭიქა სხვის ჭიქას. ერთხელ განზე დამირჩა დადგომა და მომაძახეს, ყმაწვილო, ურიგოთ ნუ დგანხარო, გავშტერდი კაცი, დევიხედე ყველაფერზე, აფერ

მიჩთეს სადმე მეთქი, თვარა აგი კაცები რეიზა მიძახიან ურიგოთ დგანხარ·ო, თურმე ჩვენ რომ „ქართულათ“ ვეჩერედს ვიძახით, იგი „რუსულათ“ რიგი ყოფილა. — ჩავდექი ისევლე ვეჩერედში, რავარც იქნა მივაწიე წყალთან. ისე მომწყურდა ფეხზე დგომით რომ მივასკტი წყალს, ბევრი გადავკარი და ამანაც ქე მაწყინა .. დევიხოცეთ ყველა, მევიკეთეთ კი არა, სისხლიდან თლად გავშრით ყველა, ყველამ მევიკელით ოც-ოცი გირვანქა... ღმერთო დასწყევლე აგი ვაინის მომგონი, მაგას მოყვა ვოჩერედი და ყველაფერი უბედურობა. ახლა ისე მივეჩვიე ამ ვოჩერედში დგომას, რომ ყველგან ვეჩერედი მგონია, სადაც ვნახავ ხალხს, ამევეტუზები თორნის პურსავით უკან ხან ქალს და ხან კაცს და სანამდი არ მეტყვიან „რას ამომდგომიხარ უკან, მომშორდიო“, ქე ვარ ამოტუზული... ასე წევიდა ჩემი დაჩაობის საქმე წროულს .. ახლა თქვენ თქვით, რა გაჯანსაღებული ჩავალ ცოლშვილით სახლში.

**ლუკაიეს ობოლი.**



# ისტორიული დღე ტრაპიზონში.

ჩვენ, ეშმაკი პირველი, თვითმპყრობელი სრულიად ჯოჯოხეთისა, მეფე კუპრისტეთისა, დიდი მთავარი ბეწვისხიდებისა, პრეზიდენტი ქაჯეთის რესპუბლიკისა, თავმჯდომარე ჰინკეთის ცენტრალური რადისა, დიდი კომისარი უქმურეთისა, სპასპეტსპასალარ-ამირბარი ალქაჯთა-დევთა და ჯინთა უძლეველი ლაშქრისა და სხვა და სხვა და სხვა და სხ. გავეცანით რა ტრაპეზონში მცხოვრებ საჯოჯოხეთოს წევრთა კარტის მოთამაშეთა მდგომარეობას, უმაღლესად კეთილ ვინებეთ დავვედგინა შემდეგი: 1) ზემოხსენებულ პირთ ბოძებულ ექმნასთ კარტის თამაშის სრულ უფლებიანი კანონმდებლობითი ავტონომია, 2) ამ მიზნით გახსნილ იქნას საგანგებოთ სათამაშოები შემდეგ ადგილზე: ა) თავისუფლების მოედანზე, ბ) „[illegible]ტოლისა“ და „ერმესს“ შუა და გ) სადაც საზოგადოება საჭიროთ დაინახავს, 3) არჩეულ იქნას დროებითი კარტ-კომისარი ისეთი პირებისგან რომელიც ყველაზე მეტი ჩამწვარი იქნას. 4) რაარსდეს ეგრეთ წოდებული „ტომბა“, რომლითაც შეგროვილი ფული უნდა გაეგზავნოს საჯოჯოხეთოს მოლარეს. 5) თამაშის დრო განსაზღვრულ იქნეს დღე და ღამეში 30 საათით, ნაცვლად დღემდის არსებულ 24 საათისა. 6) თანახმად მოლაპარაკებისა სამოთხის წევრებს უფლება არა აქვთ ჩვენს საქმეში ჩარევისა.

დედანზე მათი უტარტაროზებულესობის საკუთარი ხელით აწერია: ეშმაკი.

ჯოჯოხეთი **7225 წელსა სამოთხიდან** გაბძანებისა.

p.s. ეს ცნობა, რომელიც გადმომცა საჯ. საავენტომ 23 საათსა და 59 წუთზე, ელვის სისწრაფით მოედო მთელ აქაურ საჯოჯოხეთოს და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია (განსაკუთრებით მოიჯარადრეთა წრეებში). იმ ღამესვე შევუდექით საზეიმო მზადებას და მეორე დღეს გავმართეთ დიდებული მანიფესტაცია, რომლის დროსაც წესრიგი საუცხოვოთ იყო დაცული და არავითარ ექსცესებს ადგილი არა ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ხუთმეტამდის გაჭყლეტილ ბავშვს, ოცამდის მუცელ წახდენილ დედაკაცს, ოც და ათამდის ძალზე მიბეგვილს თავისუფალ მოქალაქეს და სამოცამდე დარბეულ და დალეწილს მაღაზიებს.

ენტუზიაზმი ხალხში კულმინაციურ წერტილს გადასცილდა.

**კახი.**



# არჩევანი

მთელი საჯოჯოხეთო უეცრათ შეინძრა. დიდი პატარა, ქალი—კაცი, ერი-ბერი, ყველანი ერთმა აზრმა, ერთმა მისწრაფებამ და ერთმა ზრახვამ შეიპყრო;

— რათ იწვევს მეუფე ჯოჯოხეთისა, ეშმაკათ წოდებული, საგანგებო კრებას! რა არის მიზეზი ასეთი არა ჩვეულებრივი მოწოდებისა, რას უპირებს იგი თავის მრევლს, რა მოხდება, რა მოგველის?

აი მწვავე ფიქრები, რაიც ყოველი მართლმორწმუნე ეშმაკეულის თავში სამართლიანად ტრიალებდა.

გახურდა არჩევნები: საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული, ქრთამული და პარული სისტემით. დელეგატები უკვე გამოცხადდენ ეშმაკის სასახლეში და გულის ფანცქალით მოელიან ეშმაკის გამოცხადებას. ჯოჯოხეთში ადგილი არა აქვს აზრთა სხვადასხვაობას. იგი ერთ მტკიცე, მჭიდროთ შეკავშირებულ სიმაგრეს წარმოადგენს. მიუხედავათ ამისა ამ სამეფოში შესვლა ერთობ ადვილია, რასაც სავსებით ამტკიცებს საღმრთო წერილიც.

სრულს შუაღამეზე გაიხსნა საგანგებო კრება. მამა ეშმაკს დელეგატები ცხურვალე ტაშით მიეგებენ და ოვაციები გაუმართეს. ჩვეულებისამებრ ეშმაკის სახეზე ღიმილს არ გაურბენია, რაიც კრებამ დიდი მწუხარების მომასწავებელ ნიშნათ მიიღო.



— ამხანაგებო! დაიწყო მან ნელ-ნელა, და ბოხი ხმით—კრიზისი, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ და რომლისგანაც ასე თუ ისე თავი დავახწიოთ მეტის მეტათ მძიმე და ხიფათოვანია. (ტაში)... დრო არ იცდის... ისტორია, როგორც სამხედრო ავტომობილი ისე მიჰქრის და მუსრავს ყველას, ვინც მას გზაზე დაუხვდება (მქუხარე ტაში) დღეს ამხანაგებო, მოქალაქე, როგორც ასეთი, აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ამა თუ იმ პარტიის წევრი. პირველი კითხვა გაცნობის დროს არის ამგვარი:

— რა პარტიისა ბრძანდებით ბატონო? და მხოლოდ შემდგომად ამისა შეიძლება იკითხონ თქვენი სახელი და გვარი. ამ გარემოებამ მაიძულა, ამხანაგებო, მომეწვია ეს პატივცემული საგანგებო კრება, რათა საერთო ძალით გამოგვერკვია თუ რა გზას დავადგეთ (მოწონების ნიშნები). ჩემის ღრმა რწმენით საჭიროა მივილოთ რომელიმე პარტიული პროგრამა და მით მოვიპოვოთ უებარი საშუალება საარსებო ბრძოლისა. თქვენს კეთილგონიერებას ვანდობ არჩევანის მოხდენას (მხურვალე ტაში).

— დიდო მასწავლებელო? ისტორიას აქვს მაგალითი მსგავსი შენ მიერ განზრახულისა — დაიწყო მცხოვანმა მორიელმა — თავადი კიევისა ვლადიმერი მსგავს შემთხვევაში მოიქცა თუ ვითარ, კარგათ მოხსენდება თქვენს უეშმაკეულესობას და არა გვაქვს საბუთი ზურგი ვაქციოთ გაკვეთილს ისტორიისას. საჭიროა მოვუხმოთ წარმომადგენელთ სხვა და სხვა პარტიებისას, რათა მათ თითონ გამოარკვიონ წინაშე შენის გონიერებისა პროგრამა თვისი, ხოლო შენ არჩევან ყოფ უმეტეს მოსაწონარსა. (ტაში).

— მე მომწონს რჩევა შენი სახელოვანო ვეზირო, წარმოსთქვა ეშმაკმა და გადასწყვიტა მოწვევა პარტიის წარმომადგენელთა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა





**კადეტი** ყველაზე ადრე გამოცხადდა.

— ჩვენი პარტია, ეს ყველაზე უფრო კარგი, მრავალ-რიცხვოვანი და პროგრესიული პარტიაა -- დაიწყო მან. ის დაიბადა 1905 წელს ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის შეუღლებისაგან. დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს პარტიას 1905 წლის რევოლიუციის განმარტოებასა და დამარცხებაში. როდესაც საკითხი დგება: საკუთარი ტყავი, თუ ხალხის თავისუფლება, მაშინ ჩვენ რასაკვირველია საკუთარ ტყავს ვამჯობინებთ. მილიუკოვი თავია ჩვენი, სხვა ყველა მისი ფეხები. ჩვენი დევიზია ომი სრულს გამარჯვებამდე! ზავი დარდანელის ანექსიით და ბერლინის კონტრიბუციით". სოციალიზმი ჩვენ არა გვწამს, ხოლო რესპუბლიკანელთა ქურქით იძულებამ შეგვმოსა. ეროვნებათა თავისუფლებას ჩვენ დიდს პატივს ვსცემთ, უკეთუ ისინი არაფერს მოითხოვენ. დღევანდელს რევოლიუციას ჩვენ დროზე გამოვეთიშეთ და მთელის ჩვენი ძალღონით სამარეს ვუთხრით მას. ბურჟუაზიაა მრევლი ჩვენი და ოქროს კერპი სამლოცველო ჩვენი.

— ძველთა ჩვენთა აროდეს თაყვან უციათ ოქროსათვის და აწცა არა თაყვანი სცენ მას!

მიუგო ეშმაკმა და გაისტუმრა მონა იგი.

—

— ჩვენ **სოციალისტ - რევოლიუციონერებს** გვეძახიან-- დაიწყო მეორე დელეგატმა. ჩვენი პარტია ასე ვსთქვათ პირადი ინიციატივის პარტიაა. ტერორი ჩვენი ტაქტიკის დედა ძარღვი იყო წარსულში, მასვე ვეკერძებით დღესაც. გეცოდინებათ ბათუმის არჩევნების ისტორია.

— ვიცი. დინჯათ მიუგო ეშმაკმა.

მიწა და თავისუფლება! ეს ორი ჯადოსნური სიტყვა აწერია ჩვენს დროშას. სოციალიზმს ვეტრფით. მაგრამ მისი განხორციელება სოფლიდან გვსურს. ამ მიზნით პირველ-ყოვლისა ვახდენთ მიწის სოციალიზაციას. ჩვენს პარტიაში ყველას ვღებულობთ, ვინაიდან არჩევნებში გვესაჭიროებიან. რუსეთში კლეხკაცობა გვიჭერს მხარს, განაპირა ქვეყნებში კი რუსის მხედრობა. დაშნაკებსა და ფედერალისტებს ახლო ნათესავათ ვერგები. სოციალისტობის მოწმობას ისინი ჩვენგან იღებენ. ყველა, ვინც ჩვენ მოგვემხრობა ჭეშმარიტი სოციალისტი გახდება, ვინც ჩვენს მრწამსს არ იწამებს ის ბურჟუაზიული პარტიისა იქნება. სომხის გლეხობამ, როგორც შეგნებულმა, უკვე დაიმსახურა ჩვენი ნდობა, ხოლო ქართველებმა, როგორც პოლიტიკურათ ჩამორჩენილებმა, ზურგი გვაქციეს. მიიღე ჩვენი პროგრამა ეშმაკთა გამგევ და ბედნიერ ყოფ-ერსა შენსა.

— იქ სადაც ერთი ყველაა, ხოლო ყველა ერთათ, ვერ მოთავსდება ერი ჩემი.

—



— პაპა ჩემი შემძლე თავადი იყო, ხოლო მამა ჩემი კლასის ჩინოვნიკი—დაიწყო **სოციალისტ-ფედერალისტმა**. მამული მშობლებმა გამიყიდეს, სახლ-კარი კარტში წააგეს. ჩემი პროგრამა სულ ყველაზე უკეთესია: მიწაზე საკუთრების გაუქმება და მდიდრებისაგან ქონების ჩამორთმევა. ეს უკანასკნელი მუხლი გუშინ ვისესხეთ ჩვენი ძმების ბოლშევიკებისაგან. გვყავს რამოდენიმე გამოჩენილი თამადა, ერთი მუშა დეზერტირი ტოროტაძე, ერთი ფილოსოფოსი თედორე ღლონტი და ერთი პრივატ-დოცენტი შალვა ნუცუბიძე. სხვაგვარათ ჩვენ „ავტონომისტებს“ გვეძახიან. სოციალიზმი ჩვენი საგარეო ტანსაცმელია. როგორც კი უცხო ხალხი თვალს აგვაშორებს, მაშინვე გავიხდით ხოლმე. ვიხდით აგრეთვე, როგორც კი რეაქციის სუსხი ჩამოდგება. ჩვენ ქართველი „დაშნაკცაკანები“ ვართ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გლეხები ვერ ავიყოლიეთ. ჩვენ სოციალისტ-რევოლიუციონერებიც კი ვართ. იდეურათ ანარქისტების წამაამლდეგიც არა ვართ, ხოლო პრაქტიკაში მათ მაგიერობას ვასრულობთ. საზოგადოთ ჩვენი პროგრამა არ არის ვიწრო ფარგალი, მასში ყოველგვარი შინაარსის ჩადება შეიძლება. შეიძლება აგრეთვე ყველა მუხლების უარყოფაც, გარდა მხოლოდ ავტონომიისა. ჩვენ ქართული პარტია ვართ და ზოგიერთმა ჩვენგანმა ქართული ლაპარაკიც კი იცის. გვიყვარდა კეთილი ცხოვრება და თფილი ადგილები, (გარდა ჯოჯოხეთისა) მაგრამ ამ ბოლო დროს ნაციონალ დემოკრატებმა ამ მხრივ შეგვავიწროვეს. მიიღე ჩვენი პროგრამა და თავისუფალი იქნები ყოველგვარ შემბორკველ პრინციპით და სახელმწიფოებრივ პასუხის მგებლობისაგან.

— არა მაქვს შიში მათი და მიდრეკილება დომხალისადმი. მიუგო ეშმაკმა ჰაბუკსა მას და განეშორა.

—



**ნაციონალ-დემოკრატი** სდგას წინაშე შენსა მეუფეო ჯოჯოხეთისაო. პარტია ჩვენი ნორჩია (ხელმძღვანელთა წლოვანობით), ხოლო პროგრამა მარტივი. ჩვენ გვწამს ქართველი ხალხი და პირისუფალი მისი ქართველი ბურჟუაზია. შექმნა ქართველი ბურჟუაზიისა,—აი მთავარი ძარღვი ჩვენი მოღვაწეობისა. ამ მხრივ ჩვენი შრომა დიდია. უკვე რამოდენიმე ათეული ათასი დავახარჯვიეთ ქართველ მწარმოებლებს ჩვენი აზრების გასავრცელებლათ. სოციალიზმი ჩვენთვის საფრთხობელაა და პარტიაში ვიღებთ ყველას, ვინც ამ საფრთხეს გიმოექცევა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო თითქმის ისე, როგორც კახური ღვინო და ახალი მოთალი. ქართველი ხალხი ენაზე გვაკერია, ხოლო მისი ინტერესები ფეხებზე გვკიდია. ჩვენი პარტია უმთავრესად ქალების პირტიაა. ფედერალისტები სტყუიან, როცა ამბობენ, თითქო მათ პარტიაში უფრო მეტი ლამაზი ერიოს. ქართველი ერის ინტერესი რევოლიუციას არ მოითხოვს. ჩვენ სხვა გზა გვქონდა დასახული მის სახსნელად, რომ პიტირიმს დასცლოდა. ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ ავტოკეფალიისა და უპატრონო მონასტრებისათვის. ხევსურეთი და ნაწილი ფშავეთისა თუშეთითურთ

მხარს უჭერს ჩვენს ძლევა-მოსილ პარტიას. ჯოჯოხეთის ინტერესი მოითხოვს მიიღო ჩვენი პროგრამა და ხელი შეუწყო ქართველი ბურჟუაზიის აყვავებას საკუთარ სამფლობელოში.

— მიზიდავს შემადგენლობა პარტიისა თქვენისა, მაგრამ მაფრთხობს ინტერესთა ჩვენთა სხვადასხვაობა. მიუგო ეშმაკმან და გაისტუმრა მოციქული იგი.

—



**სოციალ-დაშნაქ-ციუტიუნ!** გაეცნო რაინდი მეხუთე და შეიპყრო მოხუცი ეშმაკი ფხუ-ტუნმა, რამეთუ წოდება იგი პირველი მიუდგა რაინდსა მას ვითარცა კურტანი ძროხასა.

— პარტია ჩვენი სოციალ დაშნაკ ციუტიუნისა, არს პარტიათა შორის პირველი ღმობიერებითა და კაცთ მოყვარეობითა. დასაბამითგან არსებობისა ჩვენისა ვაღვივებთ მტრობასა ერთა შორის კავკასიისა და უთანხმოებასა პარტიათა. დიდ არს სამსახური ჩვენი ამ მხრივ და მდიდარ არს სოციალისტური პროგრამა ჩვენი საძრომებითა. მეოხებითა ჩვენითა სწარმოებს ჩეხა თათარ-სომეხთა, ხელმძღვანელობა რომლისა გვაკუთნა ისტორიამ ერისა ჩვენისამან. პარტია ჩვენი „სოციალ დაშნაკ-ციუტიუნთა“ არს მოწინავე მებრძოლი სოციალიზმისა რუსეთში, ხოლო მოწინავე რეაქციისა ოსმალთა სამეფოსა შინა. ვორონცოვი იყო მამა ჩვენი და აივანი მისი (უკანა) შტაბი პარტიისა ჩვენისა. დღეს, ოდეს შეიცვალავა ჩარხი ისტორიისა, მოვისხით სამოსელი ესე სოციალიზმისა და ვცურავთ მასში, ვითარცა ყველი ერბოსა შინა. საჭურველი ჩვენი არს საჭურველი რევოლიუციისა, რომელსა მას ჟამსა შინა ვეჩხირებოდით ვითარცა სახიფი ფერხთა კომბაქისათა. და აჰა ესე რა ქალა თავისა, კუთვნილი რომელიმე ქურთისა ამშვენებს წელსა ჩემსა, ვითა სამკაული სოციალ-დაშნაკ-ციუტიუნური, რომლისა ბადალი არა არს პარტიათა შორის, პროგრამაცა რომლისა ნათელ ვყავ წინაშე შენსა აღნუსხვითა სამაგალითო საქმეთა ჩვენთა.

— საქმენი თქვენი, სოციალ დაშნაკურნი, ვითარცა ვხედავ მე არიან ეშმაკურნი, მაგრამ აწ ჟამთა სხვა უნდა სამსახურნი გნაცელეს ინკერნერ, საქმე მაქვს დასაშურნი.

- -



მე მუშა ვარ, რწმენით **სოციალ-დემოკრატი!** განაცხადა ჭაბუკმა მუშის სამოსელში. ძმობა-ერთობა-თანასწორობა უმთავრესი მუხლია ჩემი პროგრამისა.

— მშრომელნო ყველა ქვეყნისანო, შეერთდით! უმთავრესი საფუძველია ძმობა ერთობის დასამყარებლათ.

— ჩვენ ვებრძვით ყველა მჩაგვრელთ, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის.

— ჩვენ ვიცავთ ყველა დაჩაგრულს, რომელ ერსაც და სარწმუნოებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს.

— ჩვენ ვებრძოდით სამკვდრო სასიცოცხლოთ ძველს, დახავსებულ მთავრობას, ჩვენი სისხლით არის მორწყული მთელი რუსეთი, ჩვენი ძვლებით არის სავსე ციმბირის ულრანი ტყეები. ამ სისხლსა

და ძვლებზე აღმოცენდა დღევანდელი ჩვენი თავისუფლება,

— გაუმარჯოს თავისუფლებას,

— გაუმარჯოს თავისუფლების მედგარ მებრძოლთ.

— გაუმარჯოს სოციალ დემოკრატიას.

ეშმაკმა ველარ მოითმინა. ისიც აიყოლია მუშის მგზნებარე ძახილმა და დასჭექა:

გაუმარჯოს! გაუმარჯოს!



და აი კვალად კრებულთა წინაშე ეშმაკმა აღიმაღლა ხმა და ღაღად ჰყო:

# ამხანაგებო!

დროშა ჩვენი არს დროშა

## სოციალ-დემოკრატიული.

**ხმა მიეცით სიას**

# № 1.



### შექანჯალებული ლექსები

II

ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი...
ან გიჟი ვარ, ან თლად შტერი,
წალვერში რომ ამოვძვერი...
დავწერ, რაც მაქვს დასაწერი...
რავქნა, რომ ვერ გავათავე?!.
იქ ნაგავი, აქ კი მტვერი,
სახლთან აწლი მშვენიერი,
ყველგან ქვერო და ბალახი.
წამოწვიმებს, გვკლავს ტალახი,
აქ ბევრი გვყავს გასალახი,
და კიდევაც არის ახი,
რომ ვუჭიროთ მათ მათრახი.

—

ჩარი რამა, ჩარი, ჩარი,
ქალიშვილო, სად იჩქარი,
სად მიფრინავ როგორც ქარი?
„ვოჩერედში?“—რა მითხარი?!.
რა ცუდია „ვოჩერედი“!!.
იქ იწყევლო უნდა ბედი:
მუჯლუგუნი, ლანძღვა ყბედი,
ჩაგმტერიონ უნდა გვერდი...
„ბოლ სტაბოი, ალავერდი“...
„დასტრახული“ თუ გაქვს გვერდი“...

—

ვოდელია, დელი, დელი...
ღამით გავლას ნურსად ელი,
ქუჩებია ისე ბნელი
როგორც კუპრი და ქვესკნელი.
ფეხს გადასდგამ—დაიმტვრევი,
და ჩემსავით გადირევი...
არსად არის აქ ფანარი,
გაგვინათოს ღამე წყნარი.

—

ჰარალი, ჰარიალალი,
ვაი ჩვენი ცოდო, ბრალი,
ერთი კაცი—ასი ქალი...
ასეთია ომის ალი...
რაკარგია რკინის წყალი..
განკურნებას მისგან ველი...

იქ დარაჯი გაბრიელი,
ზურგში უნდა იმას წკნელი...
რომ არ უყვარს სისუფთავე,
ვერ წაუხვალ ულანძღავი,
დაუყრია მას ნაგავი
იქვე, სადაც წყარო არი...
რავქნა, სიტყვაც ვერ ვუთხარი...

—

ია, უა, ია, უა,
ანი, დონი, განი, ბანი...
მსურს ვიმღერო, მითხარ ბანი...
ნახე „არშინ მალ ალანი"?
იქ ვიყავით ჩვენ ყველანი,
ჰი, როგორ წარმოგვიდგინეს,
ეხ, ზურგი ვერ მოუდგინეს,
„ოპერისტებს", იმ „არტისტებს",
იმ კინტოებს და დრ..ისტებს...
ყველგან, ყველა ფულს გვიფლანგავს,
ტყავს გვაძრობენ, აგირას გავს?..

—

ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი,
ვით დავსწერო ყველაფერი...
ტყავს რო გვაძრობს ერი, ბერი...
შიმშილისგან გახმა ბაგე...
ძვირობს ყველგან სანოვაგე...
თავი მტკივა, მიხურს წელი,
სენი მტანჯავს უკურნელი...
ჯერ იშოვეთ საქონელი:
ხორცი, ერბო, კვერცხი, ყველი...
მერმე გავა ყველგან ნიხრი...
უსაქონლოთ რაა ნიხრი...

**შექანჯალებული.**

# ქუთაისი.

(ხმა მიეცით ძველს თავს).

მოახლოვდა არჩევნები ქალაქის,
ხმა სწორია: ვაჭარ, მღვდელი, დალაქის.
ძველ ხმოსნებმა ჩამოყარეს თიკები,
აღარ გადის ძველებურათ ხრიკები!
ქალაქის თავს რას ერჩიან ნეტავი,
მან მრავლად სთქვა სიტყვა გულის მჭვრეტავი:
ვერც პარტია იტყვის მასზე რამესა,
(ტრიბუნიდან სამჯერ რაღმე დამეცა).
ის არ არჩევს ესდეკს—ესფერისგანა
და ანარხისტს, ქართველ კადეტისგანა.
კაცსა, რომელს აღარ ახლავს ეჭვები,
რაზე უნდა მივსცეთ შავი კენჭები!
მე პირველათ ვიღებ ჩემს ხმას, ჩემსა კენჭს
კაცი ვინმე მომტეხს—ამისათვის ბეჭს.
და ჩავუდებ თვითონ ვიცი სადანა,
თუნდ ამისთვის დაისაჯოს სატანა.
ისიც ვიცი: არვინ მისცემს სხვაი ხმას,
მაგრამ, აბა, ვინ დამიშლის მართლის თქმას.
მომავალი დააფასებს მხოლოდ მას,
ვინც სწირავდა არ ზოგავდა თავის თავს.
შეიძლება დადგეს გასაჭირია,
მთელს ქალაქში სხვას მოედოს ჭირია.
ხე ვერ ნახო, ხე ზედ კაცი ნაკიდი,
ჩვენ მიგვაჩნდეს ისე, ვით ყურსაკიდი.
და ვინც ამას განსჭვრიტავს და კი ფიქრობს,
გასულ აზრებს თავში შეჰყრის, მიიხმობს
ის უთუოთ გაათეთრებს ყოველ თავს,
და ქუთაისს ააშორებს ცუდს და ავს.

**სატანა.**

# მოხსენებები ფოთიდან.

**(ბუტუნას სააგენტოსი)**

„კოსმოპოლიტურმა" საზოგადოებამ, რომელშიაც შედიან ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, და სხვები, გამოსცეს ადგილობრივი „თავისუფლების 50 პროც. დიდი სესხი", სესხმა როგორც დიდათ მოსაგებიანმა (50 პროც.) საქმემ მრავალი ხელ მომწერი მიიზიდა, რადგან პაი 50 კაპეიკიდან იწყება, აქციები მასიურად საღდება.

მარა, როგორც ყველგან, ბოლშევიკებმა აქაც შეუშალეს ხელი ხსენებულ სესხს და მილიციის უფროსმა (ალბათ ისიც ბოლშევიკი ყოფილა) ხსენებული საზოგადოება ყალბათ აღიარა, რამდენიმე

მისი წევრები დაატუსაღა და მთელ მათ ქონებას კონფისკაცია უყო, რის მიზეზითაც ადგილობრივათ ათ შაურიანი ქაღალდის ფული საეჭვოთ გახდა და თითქმის აღარავინ ღებულობს.

ამბობენ მილიციის უფროსს მილიციონერებიც გაუბალშევიკებია და ადგილობრივათ აღარავის ანებებენ ასეთ „სესხების“ გამოცემას.

## ქალაქის აფთიაქი.

ქალაქის აფთიაქში დაამთავრა ძიება აღმასრულებელ კომიტეტის კომისიამ, რომელმაც დაწვრილებით გამოიკვლია ყოფილ გამგის ბ-ნ მხეიძის დანაშაული და ეხლანდელ გამგის ბ-ნ გერზეევსკის „გულწრფელი მოღვაწეობა“. კომიტეტმა მოისმინა რა კომისიის მოხსენება დაადგინა „დაატუსაღონ“ და აფთიაქში ჩასვან გერზეევსკის ადგილზე ხსენებული მხეიძე სამუდამოთ, ხოლო თანაგრძნობა გამოეცხადოს ბ-ნ გერზეევსკის ამდენი ხნის მხეიძის მაგიერ ტყვეობისათვის და სამუდამოთ განთავისუფლდეს ბ-ნი გერზეევსკი აფთიაქში ტყვეობისაგან ეს დადგენილება მალე სისრულეში შევა თურმე.

ხსენებულ საქმის ინიციატორს ბ-ნ ბაჩილავას კომიტეტის დადგენილებით ნება ეძლევა გაჰყვეს ადიუტანტათ ბ-ნ გერზეევსკის, ხოლო თუ აფთიაქში დარჩენას მოისურვებს შეუძლია აფთიაქში გახსნას სასადილოები უპრავის ძველ მოხელეთათვის.

## ჯიბგირთა შტაბი.

ადგილობრივ ჯიბგირთა შტაბს ამ დღეებში ცნობა მიუღია, რომ მცხოვრებლებში მრავალ გვარი საოჯახო ნივთები და ტანისამოსები არის გადაშლილი, რაც ასე ესაჭიროება ჯიბგირთა არმიას; ჯიბგირთა შტაბმა გაგზავნა ერთი როტა მზვერავთა ჯიბგირები და მოახდინეს მასიური ჩხრეკა, სად ც რეკვიზიცია უყვეს მსხვილ ხემოაღნიშნულ ნივთებს. ჩხრეკის დროს წინააღმდეგობა მა-ტო ა. პაჭკორიამ გაუწია, ისიც იარაღით, რადგან შეცდომით პაჭკორიას ჯიბგირები ქურდები ეგონა და სროლა აუტეხა. ჯიბგირები მიხვდენ პაჭკორიას შეცდომას და უპასუხოდ გაიპარნენ, ხოლო საქმე ჯიბგირთა კომიტეტს გადაეცა საძიებლად, რადგანაც პაჭკორიას სასჯელი მოელის.

ჯიბგირების კომიტეტს დაუდგენია აგრეთვე გაჩხრიკონ მილიციონერების ბინებიც.

## „ვეჩერები“

ვეჩერების კომიტეტმა შეადგინა ქალიშვილთა მფრინავი რაზმი, რომლებიც სისტემატიურათ დაწანწალებენ ქუჩებზე და ხალხს მოსვენებას არ აძლევენ.

მიდიხართ ქუჩაზე, წრეს შემოგავლებს ლამაზ ქალიშვილთა რაზმი და ბილეთს გაჩრიან პირდაპირ ხელში შემდეგი განცხადებით: Пользу Тликина Шарахветія ან კიდევ - პეტელა ხტომიაშვილის სასარგებლოთო და სხვა.

ვთქვათ ჯიბეზე ფული არა გაქვს, ბილეთს ნისიათ გაძლევენ, მარა ეს ხომ იმას ნიშნავს თუნდაც თავზე შებირებული ფული გქონდეს სადმე თაფლის სანთელზე დაწეპებული ხატის შესაწირავათ, ისიც კი უნდა გაიმეტო და ეს ვალი გადაიხადო— მიზანი კი ყოველივე ამისა **მოდის** კაბების „**კოლოკოლის**“ შეკერვა არის.

ალბათ ამიტომ არის რომ ადგილობრივი მართველი წრეები ხელს არ უშლიან ვეჩერისტკებს, რაშიც ჩვენი სააგენტო არ ეთანხმება მათ.

## ვაჭართა კავშირი.

ნაწილმა ადგილობრივ ვაჭართა კავშირისამ გამოაქვეყნა თავის საარჩევნო პლატფორმა სოლომონ ჰოჭუას მეთაურობით, პლატფორმა თავიდან ბოლომდე „საწყალი მუშების ინტერესების დასაცავათ არის შედგენილი. მუშების ხელფასი მუშების განათლება, მუშების აბანო, ასე გაშინჯეთ, მარგანეცის მუშებს ს. ჰოჭუა საცვლების გარეცხვასაც კი პირდება. ვაი იმ პარტიას დასძენს ჰოჭუა: რომელიც მუშებს ყურადღებას არ მიაქცევს—ვაი იმ პარტიას დასძენს იმაზედ ჩვენი საგენტო რომელიც მხოლოდ არჩევნების დროს უწევს პატრონობას მუშებს.

წარმოიდგინეთ სოლომონ ჰოჭუა წაკაპიწებული მარგანეცით გამურულ პერანგს ურეცხდეს მუშებს, ანუ თუ არ იტყვით: დიდი არის არჩევნებო სახელი და ძალა შენიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# № 1

## Голосую за списокъ

Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

**ՌՈՒՍԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԷՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՎՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԻՒՆ.**

روسیه اجتماعیون عامیون فعله فرقه‌سی

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიამ გამოსცა ზემო მოყვანილი ბარათები. **ბარათები დაბეჭდილია წითელი ასოებით.** ყველა მუშამ, ყველა ჯარისკაცმა, ყველა მოქალაქემ ზემო აღნიშნული ბარათი უნდა ჩადოს იმ ბეჭედ-დაკრულ კონვერტში, რომელიც მას ფოსტალიონებმა მიუტანეს. ეს კონვერტი შეინახეთ საარჩევნო დღისათვის. 30 ივლისს ამ კონვერტს ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენებია საარჩევნო ბარათზე.

ფოსტალიონები კონვერტებთან ერთათ არიგებენ საარჩევნო ბარათებს (избирательная карточка). ეს ბარათებიც შეინახეთ არჩევნების დღისათვის და იქ წარადგინეთ შესვლისას. უამისოთ ხმის მიცემა არ შეიძლება.

**არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას. ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1-ს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარჩევნო ბრძოლა.

## კონტრაბანდისტი



**ნერუჩევი.** ვეცდები როგორმე გავაპაროთ, მაგრამ არა მგონია დაუსჯელათ ჩამიაროს აშკარა ხულიგანების კონდრაბანდისტათ გაყვანამ.

რედაქტორი **ეშმაკი**, სტამბა **ვ. რუხაძისა**, გაბაევის შესახვ. № 1.